21/05/2026

პრეზიდენტმა კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებასთან დაკავშირებით ჩამოსულ სხვადასხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს უმასპინძლა

ამა წლის 18 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა პრეზიდენტის სასახლეში უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ შიო III-ის აღსაყდრებასთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოსულ სხვადასხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს უმასპინძლა.

შეხვედრას ჩეხეთისა და სლოვაკეთის მიტროპოლიტი, უნეტარესი როსტისლავი, მსოფლიო საპატრიარქოს, ალექსანდრიის, რუსეთის, სერბეთის, ბულგარეთის, ელადის, ალბანეთის, პოლონეთისა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლები დაესწრნენ.

პრეზიდენტის სასახლეში იმყოფებოდნენ უწმინდესი და უნეტარესი შიო III, კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), გორის და ატენის

მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა), მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მელქისედეკი (ხაჩიძე), ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ვახტანგი (ლიპარტელიანი), ბოლნელი მთავარეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე), საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე და საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე.

შეხვედრაზე ისაუბრეს მართლმადიდებლური ფასეულობების მნიშვნელობაზე და აღინიშნა, რომ თანამედროვე გამოწვევებით სავსე სამყაროში მართლმადიდებელი ეკლესიების როლი მშვიდობის, ჰუმანიზმის, ტრადიციული ფასეულობების დაცვაში

sazu.ge